წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ხუთშაბათი, 17 მარტი, 1921 წ.

№ 13 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში მყოფ სომეხ-კომუნისტების მობილიზაცია.

სომხეთის კომუნისტურ პარტიის დროებითი ცე—კას დადგენილების თანახმად—რ. კ. პ. ცე—კას კავბიურო აცხადებს მობილიზაციას ყველა საქართველოში მყოფ სომეხ-კომუნისტებისა. ყველა ამხანაგებს, ყოველ მიზეზს გარეშე და გამოუკლებლივ, წინადადება ეძლევათ, ორი დღის განმავლობაში დღიდან ამ მობილიზაციის გამოცხადებისა,—ჩაეწერონ ს. ს. ს. რ. მისიის სანუსხო-განმანაწილებელ განყოფილებაში. (რუსთაველის პრ. № 8).

კავბიუროს პრეზიდიუმის წევრნი: **ორჯონიკიძე.**
ორახელაშვილი.
ნაზარეტიანი.

საქ. კ. პ. ცე—კას მდივანი: **დუმბაძე.**
სომხ. კომ. პარ. ცე—კას წარმომადგენელი: **ლაზიანი.**

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმის მისალმება წითელ პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭოსადმი

განთავისუფლებულნი ბურჟუაზიის და მის დამქაშ მენშევიკების უღლისაგან, რომლებმაც სამი წლის წინად ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება, საქართველოს მუშები, შეიკრიბნენ რა თავისუფლად პირველად სამი წლის განმავლობაში, წითელ საბჭოთა თბილისში, უგზავნიან თავის მხურვალე ძმურ სალამს წითელ პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭოს, როგორც შეკავშირებულ რევოლუციონურ მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელს.

საერთაშორისო პროლეტარიატისაგან ძალით მოწყვეტილებს, ჩვენ საქართველოს მუშებს, პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის ერთგულთ, არა ერთხელ გვიცდია მთელი ქვეყნის მუშებისათვის ძმური ხელი გაგვეწოდებია. ჩვენი ცდა იკვეთებოდა ტყვიით და საქართველოს საპყრობილეების კედლებით. გაბატონებული კლასი ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობა გამოეყვანა კლასიურ ბრძოლის კალაპოტიდან და წარემართა ბურჟუაზიასთან შეთანხმების მხრით; იგი ერეკებოდა საქართველოს მუშათა მასსებს ყვითელ ამსტერდამისაკენ, რომლის წარმომადგენლები, კაუცკის, რენოდელების და სხვების სახით, საქართველოში მოგზაურობის დროს, ცდილობდნენ საქართველოს პროლეტარიატის ჯანსაღი ორგანიზმი მოეწამლათ უპრინციპო ოპორტუნიზმის საწამლავით; პროფ.-კავშირების წითელ ინტერნაციონალთან ორგანიულ კავშირს მოწყვეტილნი, ჩვენ არ შეგვეძლო აქტიური მონაწილეობა მიგვეღო შრომასა და კაპიტალს შორის იმ გიგანტიურ შეტაკებაში, რომელიც გაიშალა მთელ მსოფლიოში და ძალაუნებურად ვრჩებოდით „უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლის“ პასიურ მაყურებლად.

მაგრამ მუშათა კლასის მტრებმა თავის ხრიკებით ვერ შესძლეს საქართველოს პროლეტარიატის კლასიურ სოლიდარობის ჩაშლა; იგი აჯანყდა რა თავის შემავიწროებელთა წინააღმდეგ, დიდებულ მუშურ-გლეხურ წითელ არმიის დახმარებით, მიაღწია მენშევიკების უღლისაგან თავის განთავისუფლებას.

დაიმსხვრა კედელი, რომელიც ჩვენ გვყოფდა მსოფლიო პროლეტარიატისაგან, და ამ გასახარ დღეს ჩვენ, საბჭოთა საქართველოს მუშები, ვაშენებთ რა ნამდვილად დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ შევდივართ წითელ საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის რიგებში.

გაუმარჯოს პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობას!

ძირს ბურჟუაზია და მისი მსახურნი ამსტერდამიდან!

გაუმარჯოს წითელ პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო საბჭოს!

გაუმარჯოს მე-III-მე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

საპერერეგისტრაციო კომისიისაგან.

პარტიის წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ ცხადდება, რომ პერერეგისტრაცია დაიწყება ა/წ. 20 მარტიდან. პარტიის წევრებს ევალებათ წარმოადგინონ თავიანთ სარაიონო კომიტეტებში:

1. განცხადება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ, ორის თავდებით, რომელნიც პარტიაში ირიცხებოდნენ ოქტომბრის გადატრიალებამდე.
2. საწევრო ბილეთი, ან საკანდიდატო ბარათი.
3. უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ბარათი.

შენიშვნა: 1) ს. კ. პ. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ სარეგისტრაციო ბარათებს.

შენიშვნა. 2) პარტიის წევრთა განცხადებების მიღება პარტიაში ჩარიცხვის შესახებ თავდება 25 მარტს.

ცენტრალური საპერერეგისტრაციო კომისია.

საქ. კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციების და წევრების საყურადღებოთ

ს. კ. პ. ც. კ. აუწყებს პარტიის ყველა წევრებს, რომ ამა წლის 20 მარტიდან ს. კ. პ. ყველა ორგანიზაციები დაშლილად ითვლებიან და იწყება პარტიის წევრების და კანდიდატების რეგისტრაცია. პარტიის პერერეგისტრაციის მიზანია—პარტიის ძალთა სწორი აღნუსხვა, განაწილება და გამოყენება, ამავე დროს გაწმენდა პარტიისა ყველა კარიერისტულ და არა კეთილსაიმედო ელემენტებისაგან. პერერეგისტრაციის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს ცეკასთან დაარსებულ სპეციალურ კომისიას. ცეკას წევრებისა და ერთიან პარტიულ ბილეთის მქონეთათვის პერერეგისტრაცია საჭირო არ არის, ისინი ავსებენ ანკეტას და შეტანილ იქნებიან წევრთა ახალ სიებში. ყველას, ვისაც მოეპოვება ამა თუ იმ კომუნისტის გამამხილებელი ფაქტები, ცეკა წინადადებას აძლევს ყოველივე ასეთი აცნობონ საპერერეგისტრაციო კომისიას. პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებულნი არიან აღინუსხონ იმ ორგანიზაციაში, სადაც მუდმივად მუშაობენ. ვინც დროებით სხვაგან გაგზავნილია, უფლება აქვს აღინუსხოს დაბრუნებისას. პერერეგისტრაციის დროს პარტიის წევრთა მიღება შეწყვეტილია.

მდივანი **ლ. დუმბაძე.**

პარტიის პერერეგისტრაციის გამო.

საქარ. კომუნ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს აუწყებს, რომ 20 მარტიდან ყველა პარტიული ორგანიზაციები დაშლილად ითვლებიან და, რომ ამავე რიცხვიდან დაიწყება პარტიის წევრთა და კანდიდატთა პერერეგისტრაცია. მისი მიზანია:—„პარტიის ძალთა სწორი აღნუსხვა, განაწილება და გამოყენება, ამავე დროს გაწმენდა პარტიისა ყველა კარიერისტული და არა კეთილსაიმედო ელემენტებისაგან“.

ჩვენი გაზეთის პირველივე ნომერში ჩვენ ვწერდით („პარტია არ დავივიწყოთ“), რომ საჭიროა პარტიას მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება, საჭიროა დაუყონებლივ მისი რიგების გაწმენდა არასაიმედო, პირადი ინტერესებისათვის მოსულ, კარიერისტულ ელემენტებისაგან. ცე-კას მიერ გამოცხადებული პარტიის წევრთა და კანდიდატთა პერერეგისტრაცია არის ამ მხრივ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი, დროის შესაფერი და აუცილებელი. ყველამ კარგათ ვიცით, რომ ის ქვაკუთხედი, რომელზედაც შენდება კომუნისტური წყობილება, პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა ხელის-უფლება — არის კომუნისტური პარტია. იგი არის აგრეთვე მეთაური და წინამძღოლი ამ დიად დაწყებულ საქმისა—საზოგადოების ახალ საფუძველზე გადაშენებისა, სისხლიან ომებში, თუ ფაბრიკა ქარხნებში სამუშაო დაზგასთან, მთავრობის დაწესებულებებში, თუ სოფელში მიწის დამუშავებაში—ყველაზე წინ, ყველასათვის მაგალითის მაჩვენი, თუ როგორ უნდა შრომა და ბრძოლა,—არის კომუნისტური პარტია და მისი ოჯახის წევრები. აქედან ნათელია, თუ რა მნიშვნელობა ეძლევა საერთო საქმისათვის—მის სისუსტეს, თუ სიმაგრეს: მისი უარყოფითი, თუ დადებითი მხარეებს. კომუნისტური პარტიის სისუსტე, მისი წევრების, თუ გინდ ზოგიერთების, არა სათანადო „კომუნისტობა“ — ნიშნავს დაწყებულ საქმის — კომუნისტური აღმშენებლობის—დაღუპვას, შეფერხებას, მით უმეტეს ისეთ ხანაში და ისეთ პირობებში—რომლებშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით საქართველოში, სადაც საქმის დაწყებას მხოლოდ გუშინ შევუდექით და სადაც კომუნისტური აღმშენებლობის საქმე განუზომელ დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს, უდიდეს დაბრკოლებების გადალახვას საჭიროებს. მხოლოდ მძლავრ „კომუნისტურად“ უმწიკვლო, მორალურად სამაგალითო—კომუნისტურ პარტიას შეუძლია გამარჯვებამდის მიიყვანოს დაწყებული საქმე. ჩვენ დავშალეთ ჩვენი ძველი ორგანიზაციები, რათა შევკრათ, მოვაწყოთ ახალი უფრო მტკიცე, უფრო მაგარი და შეურყევი; ჩვენი ძალების ხელ-ახალი აღნუსხვით, ჩვენ გავიგებთ სწორად და უეჭველად, თუ რა ძალების პატრონნი ვართ, რა „არმია“ გვყავს, გაჭირვების თუ დალხინების დროს ჩვენი დროშას ქვეშ ვინ და რამდენი შეიკრიბება; ამასთანავე, რაც უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია, თავიდან მოვიშორებთ შემთხვევით, თუ განგებ, ქვენა აზრებით მოსულ ელემენტებს, რითაც უფრო ჯანსაღი და მაგარი გახდება, ჩვენი,—მენშევიკების ბატონობის დროს—დაავადმყოფებული და დასუსტებული—ყოველი მხრივ—ორგანიზაციები. **ამ რიგათ აღნუსხული და განწმენდილი სწორი საორგანიზაციო ლიანდაგზე შემდგარი ჩვენი, საქართველოს კომუნისტური პარტია—პირნათლად და სახელოვნად შეასრულებს თავის უდიდეს მისიას: საქართველოში კომუნისტური წყობილების, მუშათა და გლეხთა ბატონობის გრანდიოზულ საქმის განმტკიცებას.**

საბჭოთა რუსეთის პრესა

ოსმალეთის იბედით.

მძიმე პოლიტიკური და სამეურნეო ქაოსი, რომლითაც მოცულია ახლა მთელი ბურჟუაზიული ევროპა, აიძულებს ანტანტას „ქვეყნიერობის სახსნელად“ „ახალი გზები“ ეძიოს, ახალი ექსპერიმენტები მოახდინოს, მაგრამ ყოველთვის, „ახალი“ გზა, ავადმყოფ ორგანიზმის განსაკურნებლად აღმოჩენილი, ისევ და ისევ ძველი გზა გამოდის.

და ეს გასაგებია. ყველა ექსპერიმენტები კეთდება, ბურჟუაზიულ მსოფლიოსათვის წარმომდგარ, ბოლშევიზმის მუქარის ნიშნის ქვეშ. ყველა გეგმა, ყველა ცვლილებები ევროპის რუქაზე და ანტანტის პოლიტიკაში ნაკარნახევია ამ მუქარით გამოწვეული ბრმა საშინელებით. და, ვინაიდან [illegible] დროს ძნელია ახალი გზის გამონახვა, ანტანტის საგარეო პოლიტიკაც ყოველთვის გატკეპნილ ბილიკს უბრუნდება.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

უკანასკნელი განზრახულ გზათაგანი ეკუთნის აგრეთვე ამ „ძველ-ახალ“ ბილიკთა რიცხვს. გუსტავ ჰერვე, რომელსაც, თავის მოუფრთხილებლობის გამო, ხანდახან წამოცდება ხოლმე ანტანტას ლაბორატორიის მიერ მისთვის მინდობილი „საიდუმლონი“, თავის გაზეთ „გამარჯვება“-ში, 8 თებერვლის №-ში, ამხელს ახალ მიმართულების სარჩულს, რომლითაც მიმდინარეობს ანტანტას პოლიტიკა,—მიმართულებისას, რომლის მიზანია ქემალ—ფაშასა და ოსმალეთის ნაციონალისტებთან შეთანხმება. რასაკვირველია, ჰერვე ამ საიდუმლოს გამომზეურებაში სიფრთხილეს იჩენს, იგი ლაპარაკობს შეთანხმებაზე თავისი მოსაზრების მიხედვით. მაგრამ ჰერვეს მთელ სტატიაში მოსჩანს მისწრაფება, ანტანტას პოლიტიკის მოულოდნელი გარდატეხისა და მის მიერ ქემალ-ფაშას პირობების მიღებისათვის „საზოგადოებრივ აზრი“-ს მომზადების.

„ეს პირობები,—სწერს ჰერვე,—საკმაოდ მძიმეა: იგი (ქემალ-ფაშა) მოითხოვს ოსმალეთის აღდგენას წინანდელ საზღვრებში, როგორც ევროპასა, ისე აზიაში. ოსმალეთს სურს შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, დარჩეს მას სრუტეები, შეინარჩუნოს ძალა-უფლება მესოპოტამიასა, სირიასა და პალესტინაში“. რაც უნდა მძიმე იყოს ეს პირობები, ისინი უნდა იქნენ მიღებულნი, „უმთავრესად ანტანტას და საფრანგეთის ინტერესებისათვის“, დასძენს ჰერვე. საქმე ის არის, რომ ანტანტას თვალსაზრისით, „საუკეთესო იარაღად აზიაში რუსულ ბოლშევიზმის წინააღმდეგ უნდა ჩაითვალოს ნაციონალისტურ ოსმალეთთან შეთანხმება. ოსმალეთის ჯარი წინააღუდგება ბოლშევიზმს მთელს აზიაში და პირველხნობით გაანთავისუფლებს ბაქოს ნავთიან ადგილებს“.

ამნაირად, ანტანტა და მისი პუბლიცისტები ახლა ცდილობენ, ბოლშევიზმის წინააღმდეგ მორიგ დასაყრდნობად ნაციონალისტური ოსმალეთი გამოიყენონ. ისინი მზად არიან ამ მიზნის განხორციელებას შესწირონ ყველა თავისი „მაღალი პრინციპები“, რომელთა დროშას ქვეშ ისინი ომს აწარმოებდნენ. ჩვენ—კვლავ უბრუნდებით იმ საერთაშორისო მდგომარეობას, როდესაც „ავადმყოფი ადამიანი“—ოსმალეთი, ყოფილ ევროპისა—იყო ის ობიექტი, რომლის ხარჯზე თავიანთ საქმეებს აქ ხრაკებდნენ, ისევ ძველ გზას ადგებიან.

მაგრამ ისტორიის დაცინვაც იმაშია, რომ ძველი პოლიტიკის არც ერთ საშუალებას არ ძალუძს ბურჟუაზიულ ევროპის ხსნა. საერთაშორისო ცხოვრების ახალი ფაქტორი—საბჭოთა რუსეთი—ამ საშუალებათა [illegible] არ შესაძლებელია [illegible] იქნეს [illegible] ძალთა [illegible]. ოსმა-

ლეთს შეუძლია, იგულისხმება, ლოიდ-ჯორჯსა და ანტანტას სხვა ხელმძღვანელებისაგან მიიღოს მნიშვნელოვანი დათმობანი, მაგრამ მას არ ძალუძს აღმართოს კედელი მუშათა მასის მოძრაობის წინაშე, რომელიც მთელ ქვეყანას ედება. ოსმალეთი, თუნდაც იგი დაენდოს ანტანტის მთავრობებს (რაშიაც ჩვენ დიდი ეჭვი შეგვდის) ვერ დაეხმარება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთ იქ დაწყებულ სამეურნეო ნგრევის პროცესის შეჩერებაში. ქემალ-ფაშას ჯარებს როგორც სხვა ჯარებსაც, მსოფლიოში არ შეუძლიანთ ინგლისის ცხოვრებიდან ამოშალონ ის ფაქტი, რომ იქ ამ ჟამად უმუშევართა რიცხვი აღწევს 2 მილიონ კაცამდე, ხოლო სიმშილის მსხვერპლად გამხდარია 8 მილიონზე მეტი ადამიანი. ამ ჯარებს ძალა არ შესწევთ ფრანგულ მაღაროებში მუშაობა ასწიონ, რომლებიც ეხლა იძლევიან ნორმალურ დამზადების მხოლოდ 50 პროც. მათ არ შეუძლიანთ რამოდენიმედ შესამჩნევად შეამსუბუქონ შეერთებულ შტატების მდგომარეობა, რომელსაც ფინანსიური კრიზისის სიმძიმე ახრჩობს, ხოლო ბოლშევიზმი, რომლის საშიშროება ანტანტას იძულებულს ხდის ერთიდან მეორე უკიდურესობას ეცეს, ქემალ-ფაშასა და ნაციონალისტურ ოსმალეთთან ომიდან მათთან შეთანხმებას ეცადოს,—ემყარება არა იმდენად საბჭოთა რუსეთის არსებობის ფაქტს, რამდენად მთელ მსოფლიოს უიმედო სამეურნეო ქაოსს.

ანტანტის გონება მახვილმა ოდისეებმა რამდენიც არ უნდა ეძიონ გზები, რომელნიც ბოლოს და ბოლოს ძველი გზები აღმოჩნდებიან,—ისინი ვერ შესძლებენ კაპიტალისტურ წყობილების შინაგან წინააღმდეგობათა—სცილასა და ხარიბდას შორის—უშიშრად გაიარონ.

ვ. იართოცკი.

(„იზვესტია“ № 37—19, თებერვალი—1921 წ.)

14 მარტის ოპერატიული ცნობა.

წარსულ დღე-ღამის განმავლობაში ფრონტზე ბრძანების თანახმად, საომარი მოქმედება არსად ყოფილა.

კომპარტიის მე-10 ყრილობა.

საფაროვის მოხსენება.

მოსკოვი. 15 მარტი. (რადიო) „მე გამოვდივარ, დაიწყო საფაროვმა, თურქების დელეგაციის დავალებით. ჩვენ ვღებულობთ სტალინის ტეზისებს და გვსურს შევიტანოთ მთელი რიგი შესწორებების და დამატებებისა.

ეროვნული საკითხი და პარტიული ყრილობები.

მე 8 პარტიულმა ყრილობამაც გაარჩია ეროვნული საკითხი, მაგრამ მე 8 ყრილობამდე არ ყოფილა საბჭოთა პარტიულ აღმშენებლობის ცდა, ამიტომ მე-8 ყრილობამ განიხილა ეროვნული საკითხი მხოლოდ თეორიულად. ეხლა მე-10 ყრილობაზე ჩვენ ხელთ გვაქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. საფუძვლიანათ უნდა შესწავლილ იქმნეს ეროვნული საკითხი.

თებერვლის რევოლიუცია.

თებერვლის რევოლიუციის წინა დროს დაჩაგრულ ნაციონალურ მასსებში არავითარი კლასიური ორგანიზაციები არ არსებობდა. არ იყო პარტიულ ორგანიზაციების გაერთიანება, რომელთაც შესძლებოდათ ადგილობრივ პროლეტარულ მასსების შეკავშირება... (გამოტოვებულია)... თვითმპყრობლობით დაჩაგრულმა მასსამ მოითხოვა ეროვნული განთავისუფლება.

ოქტომბრის რევოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც პროლეტარიატს მისცა ხელისუფლება, სრულიად მოულოდნელი იყო დაჩაგრულ ხალხისათვის. დაიწყო განხეთქილება ქალაქს და დაქვეითებულ სოფლის შორის. ზოგიერთი სოფლები მსოფლიო ომის დროს ბევრნაირად დაზარალდენ 1916 წლიდან ერთ სემირეჩიაში 35 პროცენტი ყირგიზთა სოფლების მცხოვრებნი... (გამოტოვებულია)... ამ ხნის განმავლობაში ყირგიზთა სოფლებმა დაჰკარგეს 70% (გამოტოვებულია) ცენტრალურ რუსეთის ქალაქთა და სოფლების შეხლა-შემოხლას არა ჰქონია ნაციონალური ხასიათი, მაგრამ გარშემო შეტაკება ხდებოდა... (გამოტოვებულია).. ურალის ქალაქის პროლეტარიატი, ბაშკირების ღარიბ სოფლებთან ერთად თავის ბურჟუაზიის წინამძღოლობით. ასე იყო თურქესტანში. ყირგიზების (გამოშვებულია)

განაპირა კუთხეების მშრომელთა ნდობის მოპოება.

საფაროვის სიტყვა

(გაგრძელება).

განაპირა ადგილებში რევოლიუციონური მოძრაობა ჩვენ ვერ გვქონდა გამაგრებული. თურქესტანში, მაგალითად, კომუნისტური პარტია დაარსდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. აქ შემოიპარნენ კომუნისტებთან ერთად არასასურველი ელემენტები. განაპირა ადგილებში არის... (გამოტოვებულია)... მაგრამ ისინი არ მუშაობენ და ნაციონალურ... (გამოტოვებულია)... ყირგიზთა ქარხნების პროლეტარიატის ცუდი მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ პროლეტარულ დიქტატურის ორგანოები რუსების ხელშია. ეს, რასაკვირველია, უსამართლობაა. ჩვენ მივუთითებთ, რომ საჭიროა აუცილებლად განაპირა ადგილას მცხოვრებთა და მშრომელთა მასსის ნდობის მოპოება და ეს ნდობა რომ მოვიპოვოთ, ყირგიზის დამონებული ხალხი უნდა განთავისუფლდეს რუს მფარველთა ხელიდან.

მიწის საკითხი.

სემირეჩიის ოლქში სტატისტიკით რევოლიუციის დროს რუსის შეძლებულ გლეხის მიწათმფლობელობა ორჯელ მეტად გაიზარდა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მშრომელთ უნდა მიეცეს უფლება მიწის თავისუფალ დამუშავებისა. ეს ითქმის განსაკუთრებით ყირგიზებსა, ბაშკირებსა და მთელ რიგ კავკასიის მოსახლეობაზე, რომელთაც სამეფო მთავრობამ წაართვა მიწები და რუსს მმართველებს მისცა. თურქესტანში ამ ჟამად მიწის რეფორმა ტარდება. მიწები, რომელნიც 1916 წლიდან წართმეული იყო მმართველობის მიერ, ერთმევათ უკანვე და ეძლევათ თურქესტანის მკვიდრ მცხოვრებლებს. „კომინტერნის მეორე კონგრესმა“,—ამბობს საფაროვი, განაცხადა: მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით ჩამორჩენილ ხალხებს შეუძლიანთ სრულიად უმტკივნეულად გადავიდნენ კომუნიზმზე. ამისთვის საჭიროა ბაშკირებმა, ყირგიზებმა და სხვა ხალხმა შეიძლონ თვის მიწა-წყალზე დამკვიდრება.

ადგილობრივი მოსახლეობის გაშლა.

უნდა დანაწილდეს ადგილობრივ მცხოვრებთა მასები. ბურჟუაზია გამოეყოს ღარიბ ხალხს. საქმე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ღარიბ მშრომელ ხალხის შემწეობით, კომუნისტების ხელმძღვანელობით... (გამოშვებულია)... ჩვენ უნდა... (დამახინჯებულია...) ღარიბ მოსახლეობის საორგანიზაციო ფორმები პროფესსიონალურ — კოოპერატიულ ტიპისა. ეკონომიურ მხრივ... (დამახინჯებულია...) ეროვნულ კულტურის განავითარებლათ საჭიროა მშრომელთა მასის სრული განთავისუფლება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ხალხისა, რომ საშუალო კულტურის მდგომარეობიდან გამოვიდნენ, რომელიც დღემდის აფერხებს მათ გონრივ განვითარებას. კომუნიზმი მშრომელთა მასის კულტურის მატარებელი უნდა იყოს. ამ ჟამად სწარმოებს ბრძოლა ძველ კასტიურ სასულიერო წოდების და ახალ ბურჟუაზიულ ინტელიგენციის შორის. ეს უკანასკნელი მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთა მართლ-წერის და კულტურის განვითარებას. საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურ პარტიებმა უნდა მხარი დაუჭირონ დაჩაგრულ ხალხს თავიანთ მიზნების განსახორციელებლად, კომუნისტური პარტია რომ დაუახლოვდეს ახლო მასას და ხელი შეუწყოს მის კულტურულ განვითარებას, უნდა, უეჭველია, იცოდეს ის მშობლიური ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ ადგილობრივი მცხოვრებნი.

სტალინის დასკვნითი სიტყვა.

მოსკოვი. 15 მარტ. (რადიო). ეხლანდელ ყრილობის ძლიერ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენ დეკლარაციიდან გადავედით პრაქტიკულ ...(გამოშვებულია)... საკითხებზე.

საბჭოთა 22 განაპირა ქვეყანა.

...(გამოტოვებულია)... ამხ. საფაროვის ერთ შესწორების გამო ეროვნულ-კულტურულ თვითგამორკვევის შესახებ, ამხ. სტალინმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან მიიღოს ეს შესწორება, რადგანაც მას ბუნდიზმის სუნი უდის. ეს

ლენინის დეპეშა

თბილისში რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს (რევოენსოვეტ) სახელზე—ასლი საქართველოს რევკომს და ამხ. ორჯონიკიძეს — მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„იმის გამო, რომ მე 11 არმიის ნაწილები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე—თქვენ წინადადება გეძლევათ იმუშაოთ სრული კონტაქტით საქართველოს რევკომთან და მისი დირექტივების თანახმად; არ გადადგათ არავითარი ისეთი ნაბიჯი, რაიც შელახავდა ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად [illegible] განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით საქართველოს ორგანოების სუვერენობას, ქართველ ხალხს, დაუყონებლივ მიეცით სათანადო დირექტივები არმიის ყველა დაწესებულებებს, მათ შორის საგანგებო განყოფილებას. პასუხისგებაში მიეცით ყველა ისინი, ვინც დაარღვევს ამ დირექტივებს. ყოველ თითეული შემთხვევის შესახებ ასეთ დირექტივების დარღვევისა, ან და გაუგებრობის შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთან—გვაცნობეთ ჩვენ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე: **ლენინი**.

რევ. სამხ. საბჭოს თავმჯ. მოადგილე: **სკლიანსკი**.

ამხ. მახარაძის სიტყვა ნაძალადევის სახალხო სახლში 13 მარტს.

ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ გავანთავისუფლოთ საქართველო და აქ მცხოვრებნი მენშევიკურ უღლისაგან. სხვა მიზანი ჩვენ არა გვაქვს... ამბობენ, თითქო აქ იმისთვის მოვსულიყავით, რომ მოვსპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე, ცილისწამებაა. დიახ, ჩვენ ვსპობთ მენშევიკურ საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვიცავთ საქართველოს მუშებისა და ყველა მშრომელების დამოუკიდებლობას... თქვენ გახსოვთ ალბათ, თუ როგორ გაძარცვეს სახელმწიფო ქონება ლეონიდმა და მისმა სამღვდელოებამ... ვინ არიან ეს ხალხნი? ჩვენ სარწმუნოების მხრით მათ არ ვეხებით, ეს ხალხის საქმეა, რომელ ღმერთსაც სცემენ თაყვანს... მაგრამ ჩვენ ვიტყვით: ვინც ხალხის ქონებას იტაცებს, ფლანგავს,—ის ხალხის მტერია და ასეთ პირებს ჩვენ თავზე ხელს ვერ გადაუსვამთ... გაძარცვეს ყოველივე, რაც გაძარცვაც კი შეიძლებოდა და ეხლა თავის მოძმე მძარცველ მენშევიკებთან ერთად ბათუმისაკენ გარბიან... დიახ, ვიმეორებ, ჩვენ ვსპობთ ასეთი ხალხის დამოუკიდებელ საქართველოს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ნამდვილ მუშურ დამოუკიდებელ საქართველოს... ამისთანა ხალხს, რასაკვირველია, მოღალატეებათ უნდა გამოვეცხადებინეთ და გამოგვაცხადეს კიდეც... ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო... ჩვენ გვეუბნებიან, თითქოს ანგარიშს არ უწევდეთ ერის კულტურას, ზნე-ჩვეულებებს და სხ... ვიმეორებთ და საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ეს არის საშინელი ცილისწამება... მშრომელ საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენ ყველაზე უფრო დავიცავთ... უნდა იცოდნენ, რომ ანტანტის ბურჟუაზიული სახელმწიფოები, რომლებიც [illegible] არ შეუძლიანთ [illegible] ერების დამოუკიდებლობა [illegible] ჩვენ მხოლოთ [illegible] მიზნით მოვედით აქ... [illegible], რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა შეუძლია მხოლოთ მუშათა და გლეხთა რუსეთს, ვინაიდან მუშების ინტერესს არ შეადგენს ყაჩაღობა და სხვების დამონავება; რუსეთმა მიანიჭა სრული დამოუკიდებელი ცხოვრების უფლებები რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ პატარა ერებსაც კი, რომლებსაც თავისი არსებობის ისტორია და კულტურაც კი არა აქვთ.. და თუ იგი ასე მოიქცა იმ ერების მიმართ, რასაკვირველია, უფრო მტკიცეთ დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, იმ საქართველოსას, რომელსაც რამდენიმე საუკუნის სახელოვანი ისტორია და კულტურა აქვს. (ტაში) წითელი ჯარი მაშინვე დასტოვებს საქართველოს საზღვრებს, როცა ჩვენში აღმოიფხვრება კონტრრევოლიუციონური ჩანასახი, როცა წითელი ჯარი შესდგება და ამასთანავე გარეშე საფრთხე თავიდან იქნება აცილებული... წითელი ჯარი წავა აქედან, მას სხვა დანიშნულებაც აქვს... ჩვენ გვწამს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ერებს სრული უფლება აქვთ თავიანთ ენაზე განავითარონ თავიანთი კულტურა.. ჩვენ შორსა ვართ მენშევიკებისაგან, რომლების მიზანს შეადგენდა ოსების, სომხების და ყველა სხვა ერების გაქართველება; პირიქით, ჩვენ ხელს შეუწყობთ მათ თვით ეროვნულ კულტურის აყვავებაში... უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გადავიკიდეთ სომხები, ოსები, თათრები და ყველა მოსაზღვრე ერები. ამიერიდან მენშევიკების პოლიტიკა დასამარებული იქნება; კიდევ ერთი რამ მინდა ვსთქვა. მე მსურს განვაცხადო აქ თფილისის ძველით ძველ მუშების უბანში დამფუძნებელი [illegible] უკანასკნელ სხდომაზე, [illegible] ამხანაგმა ლომთათიძემ გამოთქვა საშინელი ცილისწამება [illegible]; მან მოიხსენია საბჭოთა რუსეთის წითელი [illegible], როგორც ბანდიტები... თქვენ თქვენი თვალით ნახეთ წითელი [illegible], გაეცანით მათ... [illegible] წითელ არმიელმა შეურაცყო... არა, ამას ვერავინ იტყვის ვინაიდან თითეულმა მათგანმა კარგათ იცის თავისი საღმრთო მოვალეობა... მე უნდა სიამაყით განვაცხადო, რომ ყველანი განცვიფრებული არიან ჩვენი ჯარების წესრიგით და სამაგალითო გაწრთვნით, ამას არც ჩვენი მტრები მალავენ... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ჯარი არსად არაა... ეს პირველი მაგალითია მსოფლიოსთვის... და ასეთ ჯარებს მენშევიკების დამქაშები ბანდიტებს უწოდებენ... მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სახალხო გვარდიელებმა მწარე მოგონებები დასტოვეს... რასაკვირველია, ეს არ ითქმის ყველაზე. გაიხსენეთ, როგორ სასტიკათ მოეპყრნენ ისინი აჯანყებულებს, რომლებიც მიწას და პურს მოითხოვდნენ... მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა უბედურება მიაყენეს ოსებს... როგორ გაძარცვეს, აწამეს—ისინი... ძალით ნამუსი ახადეს ქალებს. ასეთი მაგალითი ჯერ არ ახსოვს საქართველოს ისტორიას.

მაშასადამე, წითელი ჯარების შემოსვლა საქართველოში გამოწვეული იყო ისტორიული აუცილებლობით... მათი მიზანის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ... ამისათვის იყო რომ ჩვენ მოვუძღოდით მათ. ჩვენ რომ ასე არ მოვქცეულიყავით,—ჩვენ გვიწოდებდნენ მუშებისა და გლეხების მოღალატეებს... ჩვენ გულწრფელი ხალხი ვართ... ჩვენ არ ვუხვევთ—მიტროპოლიტებისა და ბურჟუაზიისაკენ... შეიძლება ჩვენ იმპერიალისტებმა ახალი ომი გამოგვიცხადონ, მაგრამ ჩვენ მედგარ წინააღმდეგობას გაუწევთ მათ; ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნებიან ყველა მეზობელი საბჭოთა რესპუბლიკები და რუსეთი... ჩვენ დავამარცხებთ მათ... **მაშ გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების დამოუკიდებელ საქართველოს... გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და საბჭოთა რესპუბლიკებს... გაუმარჯოს ინტერნაციონალს..** (ხანგრძლივი ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალის ჰიმნს. ყველანი ფეხზე დგებიან).

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვა—სახელმწიფო თეატრში.

13 მარტს, დღის 12½ საათზე სახელმწიფო თეატრში ამხ. ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე „რისთვის მოვიდა წითელი არმია საქართველოში“. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით, რომელმაც დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება.

„დღევანდელ მომენტში ამაზედ საჭირბოროტო თემა არ არსებობს“,—დაიწყო მომხსენებელმა,—„საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის გარშემო დიდი განგაშია ატეხილი, ყველა გაიძახის: რუსეთის წითელმა არმიამ დალუპა პატარა ქვეყანა, დაასამარა საქართველოს დამოუკიდებლობა. მენშევიკები გაიძახოდენ ამას ყველგან, სადაც კი შეეძლოთ.

მართალია თუ არა, რომ წითელმა არმიამ გამოილაშქრა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მოვიდა დამპყრობითი მიზნებით? მივუბრუნდეთ ჩვენს წარსულს. საქართველოში პირველად შემოდიან უცხოელთა ჯარები. ერთნაირად ხვდებოდენ ამ ჯარებს? რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ჟორდანიას მთავრობამ არა ერთხელ მოიწვია საქართველოში იმპერატორ ვილჰელმის, ინგლისის და იტალიის ჯარები? რატომ არავინ არაფერს ამბობდა მაშინ? და ამ ჯარებს ხვდებოდა გულგაშლით და დიდის მასპინძლობით. რისთვის ატეხეს განგაში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდა რუსეთის წითელი არმია, რომელსაც იმედით შესცქერის მთელი აღმოსავლეთი? ინდოეთი, რომელიც კვნესის ინგლისის ბატონობის ქვეშ, დიდი ხანია ელის ხსნას წითელ მოსკოვიდან და ინდოელები ლაპარაკობენ, რომ ლენინი გვიგზავნის ჯარებს ჩვენი ქვეყნის ინგლისელებისაგან გასანთავისუფლებლად. ოსმალეთი თავის ბედნიერებათ სთვლის ყავდეს მოკავშირეთ ბოლშევიკები, ყველა, დიდი და პატარა აღმოსავლეთში უყურებს მოსკოვს, როგორც განმათავისუფლებელს.

რაშია საქმე? მენშევიკები ამბობენ გერმანიის და ინგლისის ჯარები არ [illegible] დამოუკიდებლობას და არ [illegible] არღვევს სუვერენულ უფლებანი. მართლა ეს ასეა? ყველას კარგათ ახსოვს, თუ როგორ იცავდენ გერმანიის და ინგლისის ჯარები ბურჟუაზიულ წყობილებას. აღსანიშნავია საქართველოს თავად-აზნაურობის მიმართვა გერმანიის ელჩისადმი, გერმანიის ჯარების საქართველოში ყოფნის დროს, რომელშიაც თავად აზნაურობა სთხოვდა ელჩს მოეხდინა მთავრობაზე ზეგავლენა, რათა მას არ ჩამოერთვა თავად აზნაურობისათვის მიწები. ვის ინტერესებს იცავს წითელი არმია? მთელი მიწები გადავა გლეხების ხელში, ქვეყნის სიმდიდრე მუშების ხელში, აი [illegible], რომელიც [illegible] აქ წითელი არმიის მოსვლით. როდესაც 1919 წლის დასაწყისში ინგლისის ჯარები სთხრიდნენ თხრილებს თბილისის ახლოს, არავინ არ ყვიროდა დამოუკიდებლობის დარღვევაზე. მენშევიკური მთავრობა გამაგრდა და გაიზარდა გერმანიის ხიშტებით, [illegible] და [illegible] ამშვიდებდა იგი აჯანყებულ გლეხებს მაშინ, როდესაც არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა ოსმალებისათვის, რომელიც უტევდა ბათუმს.

ჩვენ, ქართველ კომუნისტებს, გვიგზავნიან წყევლა კრულვას, ჩვენ გვიძახიან მოღალატეებს და დამფუძნებელმა კრებამაც დაგვადო ჩვენ დიდი მოღალატეობისა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი [illegible] ბურჟუაზიის [illegible] დროს. ლენინსაც უწოდებდნენ ჯაშუშს და ვილჰელმის გამოგზავნილს, როდესაც იგი ჩამოვიდა გერმანიიდან. ჩვენ ვიცით, თუ როგორ გადაუხადა მან მადლობა ვილჰელმს, ყველაზე უკეთ ამის შესახებ მეტყველებს შემდეგ გერმანიაში მომხდარი ამბები. მივუბრუნდეთ კიდევ ისტორიას. ისტორიამ იცის ბევრი მაგალითები, როდესაც უცხოელი ჯარები იყვნენ სხვის ქვეყნებში, ზოგჯერ ისინი [illegible] განმანთავისუფლებელ როლს, ზოგჯერ კი მიჰქონდათ თან შავი რეაქცია. საფრანგეთის ჯარებს დიდი რევოლიუციის დროს მიჰქონდათ თან ყველგან თავისუფლება და [illegible], როდესაც 1917 წ.

მუნის ფორმულა ეროვნულ- ტურულ თვით გამორკვევისა, რო- ლიც ჩვენ დიდი ხანია უარვყავით.

კომისიათა არჩევა.

ოვის სიტყვის დასასრულ სტალინ შემოიტანა წინადადება, რომ ყრილობამ აირჩია კომისიები, რომელშიც თითოეულ ოლქების წარმომადგენლები შევიდნენ, ყველა პრაქტიკულ წინადადებათა შემდეგი კონკრეტიზაციისათვის, რომელიც ინტერესებს განაპირა ქვეყნებს. სტალინის ტეზებს ყრილობა ღებულობს საფუძვლად, შემდეგ ირჩევენ კომისიებს ეროვნულ საკითხის შესახებ.

საზღვარ-გარეთ

უმუშევრობა ინგლისში.

ნდონი. უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრის 1,108,000. მაღარომ გლისში შესწყვეტა მუშაობა.

ინგლისი იმყოფება რკინის-გზელთა ფიცვის მუქარის ქვეშ. რკინისგზელთა კავშირმა ულტიმატური მოთხოვნით მიმართა მთავრობას, რომ მთავრობამ მოახდინოს ახალი გამოძიება ირლანდიაში დახოცილ რკინისგზელთა. კავშირი მოითხოვს აგრეთვე მთავრობისაგან გარანტიებს, რომ ისინი მომავალში არ იქნებიან დევნილნი.

იტალია და ქემალისტები.

ლონდონი. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იტალია სცნობს ანგორის მთავრობას და იმყოფება მასთან მეგობრულ და უშუალო ურთიერთობაში. იტალიამ გადასწყვიტა დაამყაროს ანგორასთან ფინანსიური და ეკონომიური ურთიერთობა.

ავთ-სადენის გახსნა ბაქო თბილის-ბათომს შუა.

ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა გუსეინოვმა ბაქოდან რადიოთი აცნობა რევკომის თავმჯდომარეს მახარაძეს: „დღეს, 16 საათზე და 10 [illegible] მიერ შექმნილ რუსეთის ხალხთა საპყრობილეს დანგრევის 4 წლის თავზე, ადერბეიჯანის მეთაურმა ამხ. ნარიმან ნარიმანოვმა ა. ს. ს. რ. ყველა ნარკომის თანდასწრებით გახსნა ნავთის სადენი ბაქო თბილისს-შორის. აზერბეიჯანის მშრომელნი, რომელთაც შეიარაღებული დახმარება გაუწიეს მუშებსა და გლეხებს ანტანტის და ქართველ მენშევიკებთან ბრძოლაში, დღეს საქართველოს და ადერბეიჯანის მშრომელთა ძმურ კავშირს ამტკიცებენ ეკონომიური ჯაჭვით. ნავთი, რომელიც უთანხმოების საგანია ყველა ქვეყნის იმპერიალისტთა შორის და ახლა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკაში მიედინება, ამტკიცებს ხალხთა ძმობას და არღვევს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების იმ კედლებს, რომელსაც არა სცნობენ კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებული მშრომელნი. დე, დღეს კიდევ ერთხელ დარწმუნდენ იმპერიალისტები კომუნიზმის სიმტკიცეში, ცხოველყოფილობასა და დიდ მომავალში, იმ კომუნიზმის, რომელსაც მოაქვს მსოფლიოსთვის იმპერიალისტების ცარცვა გლეჯისაგან თავის დახსნა და რომელიც არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმით ამტკიცებს იმას, რომ პროლეტარიატი სულ ადვილად სწყვეტს საკითხებს, რომლების გამო იმპერიალისტები სისხლის ღვრას აყენებენ. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მშრომელთა ძმურ კავშირს, გაუმარჯოს ქართველ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც ანტანტის ლაქიების ბუდე მოსპეს“.—ა. ს. ს. რ. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი გუსეინოვი. ეს რადიო გაეგზავნა აგრეთვე ნარკომის თავმჯდომარეს ლენინს, ჩიჩერინს, რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რუსეთის აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტს, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ორახელაშვილს, რუსეთის სამხედრო საბჭოს კავკასიის ფრონტის წევრს ორჯონიკიძეს, ყველა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს. ტელეგრამა 13 მარტის თარიღით არის აღნიშნული.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების შემოღებისა და გზათა სამმართველოს მოსამსახურეების, ხელოსნების და მუშების მობილიზაციის შესახებ.

1) საქართველოს ს. ს. რ. გზებზე,—როგორც რკინის, ისე შარა გზებზე,—შემოღებულია სამხედრო წესები.

2) ყველა მოსამსახურენი, ხელოსნები და მუშები, მიუხედავათ წლოვანებისა და სქესისა, ჩაითვლებიან ჯარში გაწვეულათ და რჩებიან სამსახურში თავიანთ თანამდებობაზე.

3) ამისდა მიხედვით, ყველა მოსამსახურენი, ხელოსნები და მუშები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ განკარგულებებს მათი ერთ თანამდებობიდან მეორეზე განწესების და გადაყვანის შესახებ.

4) სამსახურის ასრულების დროს დანაშაულობისათვის, გზების ყველა მოსამსახურენი, ხელოსნები და მუშები მიიცემიან პასუხისგებაში, თანახმად სამხედრო დროის კანონებისა.

5) სამსახურის თავის ნებით დატოვება შეიძლება მხოლოდ ავადმყოფობის გამო, ექიმების მიერ სათანადო შემოწმების შემდეგ, და აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევებში.

6) დატუსაღება, ჩხრეკა გზათა მოსამსახურეების, ხელოსნების ან მუშების შეიძლება მოხდეს მხოლოდ გზათა კომისართან შეთანხმებით.

7) თეთრეული, ტანსამოსი, ავეჯი და ამგვარი სახლის სამეურნეო ქონება, რომელიც წარმოადგენს გზათა მოსამსახურეების, ხელოსნების, მუშების ან მათი ოჯახების საკუთრებას, არ ექვემდებარება კონფისკაციას ან რეკვიზიციას.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები ან საჭიროება, ამ მუხლში აღნიშნული ქონების რეკვიზიცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სათანადო მმართველობის წერილობითი დადგენილების თანახმად და გზათა კომისართან შეთანხმებით ყოველ კერძო შემთხვევაში.

8. საქართველოს ს. ს. რ. ყველა საგუბერნიო, სამაზრო და სხვა ადგილობრივი მმართველობანი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ გზათა მოსამსახურეების, ხელოსნების და მუშების მშვიდობიან მუშაობასა და მატერიალურ კეთილდღეობას.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს ს. ს. რ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი **შ. ელიავა**, რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

ჩვენი პირველი ნაბიჯი სამხედრო დარგში

პირველი სალამი, პირველი ცოცხალი სიტყვა, რომლითაც საერთაშორისო რევოლუციის ბელადმა ამხ. ლენინმა მიმართა საქართველოს მშრომელ ხალხს, იყო შემდეგი: „საჭიროა მუშებისა და ღარიბ გლეხობის დაუყოვნებლივ შეიარაღება საქართველოს წითელი ლაშქრის შექმნისათვის“.

მრავალწლოვანი ომის გადატანისა და აუარებელი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, როგორც ბრძოლის ველზე, ისე სატუსაღოებში, საქართველოს პროლეტარიატი შედის რევოლუციის განვითარების ახალ ფაზისში, სოციალური ურთიერთობის ძირიანად გარდაქმნის ეპოქაში, მუშათა კლასის და სოფლის მშრომელთა დიქტატურის ხანაში.

ამ ისტორიულ დროს მუშათა და გლეხების მთავრობას დაუდგა საკითხი ძველი ჯარის დემობილიზაციისა და მის სამაგიეროთ ახალი, კარგათ შეიარაღებული ლაშქრის შექმნის შესახებ, რომელიც მთელი თავისი არსებით მზათ იქნება უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცვას დიადი სოციალური რევოლუციის მონაპოვარნი.

ბრწყინვალე მომავლის იმედით აღფრთოვანებული ქართველი მუშები და მიწას მოკლებული გლეხობა, როგორც ბრძოლაში გამოცდილნი და გასალკდევებულნი, უნდა შეადგინონ საქართველოს მომავალ წითელი ლაშქრის მთავარ ქვაკუთხედს.

სოციალისტურმა მთავრობამ ისტორიული ბრძანება გასცა საქართველოს წითელი ლაშქრის შექმნის შესახებ, ხოლო სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატმა კი უკვე პირველი ნაბიჯები გადადგა ამ საისტორიო საქმის, მუშათა და გლეხთა მებრძოლი ერთეულების შექმნისათვის.

დადგა ისტორიული დრო, როდესაც მუშათა და გლეხების მებრძოლი ერთეულების შექმნით საძირკველი უნდა ჩაეყაროს ჩვენს კომუნისტურს და სოციალისტურ აღმშენებლობას.

ჩვენი ბრწყინვალე მომავლისა და ძლიერებისათვის საჭიროა მიექცეს ამ საქმეს უაღრესი ყურადღება.

სამხედრო აღმშენებლობის საკითხების გადაჭრის დროს უნდა გათვალისწინებულ იქნეს ჩვენი პარტიის ყველა მიზნები ამ სფეროში: აუცილებელი და დროებითი კლასიური შემადგენლობა წითელი ლაშქრისა, პროლეტარული ელემენტების სამხედრო საქმეში აუცილებელი გაწვრთნა, პოლიტიკური კომისრების ამორჩევა საიმედო კომუნისტების წრიდან, ნაწილებში კომუნისტური იაჩეიკების დაარსება, როგორც შინაგანი იდეური კავშირის და შეგნებული დისციპლინის ნიადაგი, სამხედრო პოლიტიკური სკოლების დაარსება, სამხედრო აღმშენებლობის საქმეში სპეციალისტების მოწვევა, რომელთაც სასტიკი პოლიტიკური კონტროლი უნდა გაეწიოთ, სამხედრო ხელმძღვანელების მოწინავე და შეგნებული მუშების წრიდან ამორჩევა.

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“, ამბობდა, რომ ეთევე როლი უნდა ითამაშონ რუსე ს ჯარებმა გერმანიის განთავისუ ლებითო.

საფრანგეთის რევოლუციის ომებს ქონდათ განმათავისუფლებელი ხასიათი. საღვთო კავშირის ომებს კი რეაქციონური. ეხლა ინგლისი აღგზნებს კოალიციას საბჭოთა რუსეთზე იერიშისათვის. აღმოსავლეთის დამმონავებელი [illegible] აწყობს განმათავისუფლე ლ რუსეთის წინააღმდეგ.

ეხლა მსოფლიოში მხოლოდ ორი ბანაკია: ანტანტის ბანაკი ინგლისის მეთაურობით და ბოლშევიკების ბანაკი რუსეთის მეთაურობით, რომელთა შორისაც სწარმოებს მედგარი ბრძოლა. ამ ორ ბანაკს არ შეუძლიან ერთად მოთავსდნენ, ან ანტანტა უნდა იყოს ბურჟუაზიულ მსოფლიოთი, ან და რუსეთი პროლეტარული რევოლუციით.

ეს მდგომარეობა ეხლა უფრო რთულდება გერმანიაში უკანასკნელად მომხდარ ამბებით. წინათ ამბობდნენ, რომ გერმანიის მილიტარიზმის მოსპობით ომი შეწყდებაო. უკანასკნელი ამბები ამბობენ, რომ ჩვენ ისევ 1914 წლის წინ ვდგევართ. მართალია გერმანიას არ შეუძლია ეხლა დიდი ძალები დაუპირისპიროს ანტანტას, მაგრამ ამით მდგომარეობა არსებითად არ იცვლება. კონფლიქტი აუცილებელია და მრავალ [illegible]ვან [illegible] შემდეგ კაცობრიობა ისევ სდგას მსოფლიო ომის წინ. ასეა ამ საკითხს ისტორია. ბურჟუაზიული ქვეყანას არ შეუძლია მათი გადაწყვეტა. 1914 წელში ჩვენ ურყევლად ვაცხადებდით: სხვა გამოსავალი არ არის, გარდა ბურჟუაზიასთან ბრძოლისა. მხოლოდ ბურჟუაზიულ წყობილების დამხობა მოსპობს ომებს. გარემოებანი აიძულებენ გერმანელ მასსას მიმართონ რუსეთს. ხელსაყრელია ეს ანტანტისათვის? რასაკვირველია არა, მაგრამ უკეთესი გზა მან არ იცის. ანტანტის პოლიტიკას აუცილებლად გადაჰყავს ხალხები საბჭოთა რუსეთის მხარეზე. ჯერ კიდევ პოლონეთზე შეტევის დროს წითელ ლაშქარს ენთუზიაზმით ხვდებოდნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. თვითეულ გერმანელისთვის აშკარა შეიქმნა, რომ თუ გერმანია რუსეთის

არ შეუკავშირდა, ანტანტას ვერ გადაურჩება და თვითოეულ ერის წინაშე ინდოეთის, ოსმალეთის, ადერბეიჯანის და სომხეთისა სდგას საკითხი: ანტანტასთან, თუ საბჭოთა რუსეთთან. ქართველ მენშევიკურ მთავრობის წინაშეც იდგა ეს საკითხი. მოსკოვს არ უნდოდა ომი საქართველოსთან. ამის შესახებ მე უკვე პრესაში განვაცხადე. ჩიჩერინმა მითხრა, რომ ბურჟუაზიული საქართველო ჩვენ გვჭირდება, როგორც ხიდი. თვითოეულისთვის აშკარა უნდა იყოს, რომ არავითარი ბოროტ-განზრახვა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრივ არ ყოფილა. მაშ რაშია საქმე? წარსულში, როდესაც რ. ს. დ. მ. პ. ერთი იყო, საქართველოში სწარმოებდა ფარული მუშაობა რუსეთისაგან ჩამოშორებისათვის. იგივე მენშევიკები, რომელნიც დღეს რუსეთს უსისინებენ, მაშინ სულ სხვას ამბობდნენ. უფსკრულის ამოთხრა რუსეთ საქართველოს შორის მათ დაიწყეს 1917 წლის ოქტომბრიდან. თქვენ იცით, როგორ როლს თამაშობდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობაში ჩხეიძე, წერეთელი. რუსეთთან ჩამოშორების საკითხი არც კი ნახსენები. 23 და 24 ოქტომბერში მენშევიკები ჯერ ისევ რუსეთთან ერთად გამოდიოდნენ, ხოლო 25 ოქტომბერში, თბილისში ჩამოსვლის დროს მათ უკვე სულ სხვა პოზიცია დაიკავეს. განა გამოიცვალა საქართველოს პროლეტარიატის მიზანი? 25 ოქტომბრიდან მენშევიკებმა დაიწყეს ზღუდის შენება თავიანთ და პროლეტარულ რევოლუციონურ რუსეთის შორის, და ეს, რასაკვირველია, არის მომენტი კლასიური და არა ნაციონალური, როგორც ცდილობდნენ ამის ახსნას. რუსეთის რევოლუციას, რომ სათავეში მოექცეოდნენ მარტოვები და დანები, მაშინ დანაწილების საკითხი მენშევიკების წინაშე აღარ იქნებოდა. სოციალურ რევოლუციის დაწყების შიშმა მენშევიკები აიძულა რუსეთიდან წამოსულიყვნენ. საკითხი იდგა ამ რიგად: ან ბურჟუაზიული, ან სოციალისტური საქართველო. სხვა გზა არსად იყო.

1918 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთი ებრძოდა კონტრ-რევოლუციას, ქართველი მენშევიკები ამ უკანასკნელთ ხელს უწყობდნენ. გეგეჭკორმა გენერალ ალექსეევთან საუბრის დროს განაცხადა: „ჩვენ თქვენთან ერთად ვცდით ერთ წერტილში“, ე. ი. ბოლშევიკების წინააღმდეგ“-ო. წითელი არმიელები, როდესაც დამარცხდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და საქართველოსკენ დაიხიეს, აქ სიმშილით იხოცებოდნენ მაშინ, როდესაც გენერალ ერდელის თეთრი გვარდიელები თბილისის საუკეთესო სასტუმროებში სცხოვრობდნენ. როდესაც 1919 წელს შემთხვევით მოვხვდი თბილისში, ნოე ჟორდანიამ ამხანაგის პირით შემომითვალა: „სერგო! ნუ ივლი თბილისის ქუჩებში, ჩვენ შენ არ დაგიჭერთ, მაგრამ ინგლისელებმა იციან შენი აქ ყოფნა და ისინი დაგიჭერენო“. ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა?

მოვიგონოთ ის აუარებელი თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები, რომელთაც თავშესაფარი თბილისში იპოვეს. მე მაქვს საბუთი, რომელიც ამოწმებს, რომ რამიშვილს კავშირი ჰქონია ვრანგელის ორგანიზაციასთან საქართველოში. მთიელთა მთავრობის არსებობა აქ—ფაქტია. ყოველგვარი თავდაცვითი კომიტეტების არსებობა, სადაც სხვადასხვა გამვლელ-გამომვლელებს ჰქონდათ ადგილი, სულ მენშევიკურ მთავრობის წყალობით იყო მოწყობილი.

ამ რიგად, როდესაც გამოირკვა, რომ მენშევიკებმა ანტანტისკენ აირჩიეს, კავკასიის პასუხისმგებელ მოღვაწეების წინაშე წამოიჭრა საკითხი. ან ჩვენ უნდა ვცხოვროთ ანტანტის მუქარის ქვეშ, ან მენშევიკების ძალა უფლება საქართველოში უნდა მოისპოს.

აი რისთვის ვთვლით ჩვენ სამართლიანად წითელ არმიის მოსვლას საქართველოში. რა მოიტანა აქ წითელმა არმიამ? ნიშნავს თუ არა რუსეთის წითელ ჯარების მოსვლა ქართველ ხალხის თავისუფლების და დამოუკიდებელ ცხოვრების გაუქმებას? წითელი არმია საქართველოს მუშებს და გლეხებს განუსაზღვრელ პირობებს აძლევს თავის საკუთარ მოქმედებაში. არას დროს ამისთანა სამაგალითო რამ საქართველოს ისტორიაში არა მომხდარა. აღდგენილია საქართველოს მუშათა და გლეხების აბსოლუტური დამოუკიდებლობა.

მე მაქვს ხელში საბუთი საბჭოთა რუსეთის თავდაცვის თავმჯდომარის ამხ. ლენინის ხელმოწერილი, გამოგზავნილი წითელ არმიის წინამძღოლის სახელზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. ამ დოკუმენტით წითელ არმიას ევალება სრული კონტაქტით იმუშაოს საქართველოს რევკომთან. სრულიად არ ჩაერიოს საქართველოს საქმეებში და არ დაარღვიოს მისი სუვერენული უფლებები.

აი ეთია „დამპყრობელთა“ სიტყვები. მაგრამ ყოველ მხრიდგან გაისმის შიშინი: „ეს მხოლოდ სიტყვებია, ვნახოთ როგორ იქნება საქმე შემდეგში“-ო. ქართველ ინტელიგენციის, მუშების და გლეხების ურთიერთობის შემდეგს ჩვენთან მომავალი გამოაჩენს. წითელი არმია ერთი აზრის მატარებელი არის—გადასცეს ქართველ მუშებს და გლეხებს წითელი დროშა. თქვენ აქ ნახეთ რუსეთის წითელ არმიელები. დაე ვინმემ სთქვას, რომ რუსეთის წითელი არმია ღირსი არ არის დიდებულ არმიის სახელისა. იგი ფიქრობს მხოლოდ ერთს, რომ აქ მისი საქმე განაგრძონ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა—თვით კი წავა ახალ გამარჯვებისკენ.

ყოველ პატიოსან ქართველ ნაციონალისტს, რომლისთვისაც ძვირფასია მუშათა და გლეხთა ინტერესები, ფართო ასპარეზი ეშლება წინ სულიერ ძალთა განვითარებისათვის. ჩვენი სურვილია ვნახოთ საქართველო აყვავებული. ჩვენ ვიცით, რომ რამდენათ წინ წავალთ აღმოსავლეთით, იმდენათ უფრო ნათლად დადგება ჩვენ წინ ნაციონალურ აღორძინების საკითხი. ჩვენი მიზანია არა ძალდატანებით სოვეტიზაცია, არამედ მასის ნაციონალური გაერთიანება, მისი ანტანტის უღლიდან განთავისუფლება. საქართველოში კი—აშკარად განვაცხადებთ, ოდნავადაც არ იქნება შელახული ნაციონალური გრძნობა რუსეთისა და მისი წითელი ჯარის მხრივ. სახელმწიფოს ბედი დამოკიდებულია ინტელიგენციის, მუშების და გლეხების ენერგიაზე. მე მინდა გავაფრთხილო ქართველი ინტელიგენცია, რომ მან არ გაიმეოროს რუსეთის ინტელიგენციის მწარე გაკვეთილი. დიდი ხნის საბოტაჟის შემდეგ, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, ინტელიგენცია დარწმუნდა, რომ საბჭოთა რუსეთის გარეშე ხსნა არ არის და დაიწყო მუშაობა საბჭოთა მთავრობასთან. ქართველ ინტელიგენციამ უნდა უშველოს თავის თავს, ძველი მენშევიკური საქართველო მოკვდა. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა საქართველოს. ასეთ ინტელიგენციისათვის ყველა კარები ღიაა. თუ ინტელიგენცია დაადგება საბოტაჟის, ფარულ შეთქმულების და აჯანყების გზას, ჩვენ მისთვის მხოლოდ ტყვიის ენა გვექნება. ინტელიგენციის მიერ თავის მოვალეობის შეგნების პირველი მერცხლები უკვე გამოჩნდნენ. ახალი ხელისუფლება პოულობს ახალ შემოქმედების გზას. კეთდება ყველაფერი, რათა შექმნილ იქმნეს საერთო ენა. ანგარიში ეწევა ადგილობრივ სულიერ განწყობილებას, ძალებს. მუშათა და გლეხთა საქართველო გადალახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და როდესაც განვლილი იქნება ტანჯვის გზა, მას არ დაავიწყდება ისინი, ვინც ხელს უწყობდა მას ახალ ცხოვრების შემოქმედებაში. ყველა, ვინც ამას უყურებს, მოიგონოს დიდი რუსეთი, სადაც ცარიზმის დროს უვიცობა მეფობდა, მოიგონოს საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სამი წლის განმავლობაში სასწაული მოახდინა: მოსპო წერა-კითხვის არცოდნა, შექმნა დიდი წითელი ლაშქარი, მოაწყო შრომის ლაშქრები და სხვა. არ გაივლის რამოდენიმე წელიწადი და მუშათა და გლეხთა საქართველო სძლევს ეკონომიურ კრიზისს და გამოვა ბედნიერ კაცობრიობის გზაზე. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა საქართველოს. გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას. (ამხანაგი ორჯონიკიძე ათავებს თავის მოხსენებას. საერთო ტაში).

აი ის უმთავრესი დებულებანი, რომელიც საფუძვლათ უნდა ედვას ჩვენს მომავალ სამხედრო აღმშენებლობას.

ამასთანავე აუცილებლათ საჭიროა დიდი ყურადღებით აღირიცხოს მთელი ის პრაქტიკა, გამოცდილება და შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსეთის წითელი ლაშქრის შექმნის დროს, რაც საგრძნობლად დააჩქარებს და გაგვიადვილებს ჩვენი წითელი ლაშქრის შექმნის და აღმშენებლობის დროს უმთავრეს და უძნელეს საკითხების გადაჭრას.

ჩვენი პირველი სამხედრო ნაბიჯი უნდა იქნეს გარკვეული, მტკიცე და ეს იქნება საუკეთესო ნიშნი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა, ეს იქნება სოციალური რევოლიუციის გამარჯვების ზეიმი.

დ. ბზიავა.

ქრონიკა

ბეწვეულობის და ქურქის სახელოსნოების აღრიცხვა. ქალაქის რევ. კომიტეტმა წინადადება მისცა საბინაო განყოფილების სავაჭრო ქვეგანყოფილებას აღრიცხოს ყველა მსხვილი ბეწვის და ქურქის სახელოსნოები და აღწეროს ყველა მათი საქონელი, ჯარის ნაწილების და სხვა ორგანიზაციების რაციონალური დაკმაყოფილებისათვის.

◆ **ქალაქის პენსიონერები.** ქალაქის კომ. განმარტავს, რომ ის პირნი, რომლებიც ღებულობდენ საბჭოთა ძალაუფლების დამყარებამდე ქალაქისაგან პენსიას, მიიღებენ შემდეგშიაც ძველებურ პირობებით და საფუძველით.

◆ **კომ. პარტიის სარაიონო შტაბების რეორგანიზაცია.** ქალაქის რევოლუციონურმა კომიტეტმა დაადგინა მიმართოს თხოვნით საქართველოს ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის კომიტეტს მოახდინოს სარაიონო შტაბების რეორგანიზაცია, რომელთა ფუნქციები და მოქმედებანი არ არის გამორკვეული და შეთანხმებული, და მათ მაგივრად სასწრაფოდ დაარსდეს სარაიონო რევოლუციონური კომიტეტები.

◆ **ტრამვაის უფასო ბილეთები.** ქალაქის რევ. კომიტეტმა დაადგინა მიეცეს ტრამვაის უფასო ბილეთები მხოლოდ იმ დაწესებულებათა მოსამსახურეებს და მილიციელებს, რომლებსაც სამსახურის ასრულების დროს უხდებათ ხშირი სიარული.

◆ **18 მარტის დღესასწაული.** საქართველოს რევკომის დადგენილების თანახმად 18 მარტს პარიზის კომუნის ნახევარ საუკუნის იუბილეს აღსანიშნავად რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებში საქმის წარმოება არ იქნება. ყველა დაწესებულებება და სახლის პატრონებს ევალებათ შენობები დროშებით და ხალებით მორთონ.

◆ **ფოსტის მიმოსვლა კავკავამდე** დაიწყო ფოსტის მიმოსვლა სამხედრო გზით ყაზბეგამდე. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ დაიწყება ფოსტის მიმოსვლა კავკავამდე.

◆ **რადიო.** საჩქაროდ კეთდება რადიო სადგური ნავთლუღში. სულ ახლო მომავალში აღდგენილი იქნება კავშირი ევროპისა და აზიის დიდ ქალაქებთან.

◆ **რადიო ტელეფონი.** მიღებულია ზომები რადიო ტელეფონის სადგურის საჩქარო ორგანიზაციისთვის. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო.

ვინ შედიოდა მენშევიკების პარტიაში?

მენშევიკების გაზეთები „ბორბა" და „ერთობა", უსირცხვილოდ მოთქვამდენ თავიანთ ფურცლებზე, რომ კომუნისტური პარტია შედგება ყველა უცხო ანდა ქურდ ყაჩაღ ელემენტებისაგან, და ამის დასამტკიცებლად არ ერიდებოდენ ათასგვარ ცრუ და ყალბი საბუთების შეთხზვა გამოქვეყნებას.

მკითხველებმა გაიცნეს მენშევიკების მიერ გამოქვეყნებულ „საბუთებს" [illegible] კიდეც იციან მისი ფასი და ღირებულება, ახლა კი ჩვენ გვსურს მოკლეთ მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ ის საბუთები, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ [illegible] ვისგან შედგებოდა [illegible] პარტია და ვინ იყო მისი [illegible] ძალა.

აი პირველი სარეკომენდაციო ბარათი: „ამხ. გაჩეჩილაძე! გთხოვთ ჩასწეროთ პარტიაში თედორე მეტივე, რომლის პატიოსნებაში და სოციალ-დემოკრატიულ რწმენაში მე ვარ დარწმუნებული. მეტივე იმ სახლის პატრონია, რომელშიაც მე ვცხოვრობ. პატივისცემით ს. გოლდფარბი".

უფრო საინტერესო მეორე საბუთი, რომელიც ამტკიცებს იმას, თუ რისთვის ეწერებოდენ მენშევიკების პარტიაში უმეტესი ნაწილი ამ პარტიის წევრებისა,—აი ესეც:

„ამხ. სანდრო! ამ ბარათის მომტანს, ახალგაზრდა სტუდენტს ჯაფარიძეს უნდა რკინის გზის „უპრავლენიაში" სამსახურში შესვლა, და ჩვენი საწევრო ბარათის უქონლობის გამო არ იღებენ; მიეცი დღესვე საწევრო ბარათი ჩემი თავდებობით. არსენ თოდრია. კარგი სოციალ დემოკრატი იქნება ა. თ."

ორივე ეს ბარათი მოგვყავს სრულად, ისე როგორც დედანში; გარდა ამისა ორივე ბარათს შენიშვნა აქვს გაკეთებული იმის შესახებ, რომ პარტიული ბილეთი მიღებული აქვთ მათ მომტანთ.

მოგვყავს კიდევ ერთი ბარათი:

„ამხ. გიორგი! ნ. მ მინაიშვილის მიღება შეიძლება პარტიაში, როგორც ყოვლად საიმედო პირის და საგანგებო რაზმის საუკეთესო აგენტის. საგანგებო რაზმის (ОСОБЫЙ ОТРЯДЪ) კომიტეტის თავმჯდომარე ეპიფანე (ეფცხლაძე) ტელ. № 53, სოლოლაკის ქუჩა № 3". (მართლწერა დედანის).

ჩვენ გვგონია მეტი საბუთების მოყვანა ზედმეტი იქნება, რადგანაც ესეც ნათლათ ყოფს იმას, თუ რა პიროვნებები აძლიერებდა მენშევიკების პარტიას: სახლის პატრონი, ადგილის მაძებარი სტუდენტი და საგანგებო რაზმის საუკეთესო აგენტი.

აი ვინ ავსებდა მენშევიკების პარტიას, ვინ იყო ამ პარტიის უმთავრესი დასაყრდენი „მასსა". და ამ ვაჟბატონებს ჰქონდათ გამბედაობა სიტყვა დაეძრათ ჩვენი პარტიის წევრების შესახებ; არ წითლდებოდენ, როდესაც „ბნელ ელემენტების" პარტიას ეძახოდენ!!

ასეთი იყო მენშევიკური პარტიის მასიური შემადგენლობა. თუ რაზე მსჯელობენ მენშევიკების პარტიული კოლექტივები—ამაზე შემდეგ.

ბ. ძნელაძე.

მდგომარეობა ხაშურში

ჩასვლისთანავე ხაშურში აწყდები სამწუხარო სურათს. უკან დახევის დროს მენშევიკებს დაუნგრევიათ როგორც რკინის გზა, ისე თვით ქალაქი ხაშური. წაუყვანიათ მთელი ორთქლმავლები და აგრეთვე ის ორთქლმავლებიც, რომლებიც რემონტზე იდგა და რომლის დაძვრა კი შეიძლებოდა. იმ ორთქლმავლებიდან, რომლების დაძვრა ვერ მოუხერხებიათ, მოუხსნიათ „არმატურა" და ცილინძის ნაწილები. დეპო განადგურებულია. არ შეიძლება ამას დაერქვას ევაკუაცია, ვინაიდან რის გატანაც კი შეიძლებოდა დამოუსწრიათ, გაუტანიათ, დანარჩენი კი დაუღეწიათ. ბოლო ხანებში ვარვარინოდან ჩამოიყვანეს 17 ორთქლმავალი, ამათში ოთხი ვარგისია, დანარჩენები კი საჭიროებენ სერიოზულ და სრულ შეკეთებას. მაგიდებიდან ამოჭრილია და წაღებულია მაუდები და კლიონკები, ტელეფონების და ტელეგრაფის აპარატები მოხსნილია, დარჩენილი აპარატები კი დამტვრეული. ელექტრო-სადგური განადგურებულია; სადგური და დეპო გაუნათებელი. საქონლის და ინსტრუმენტის მაღაზია, მოსამსახურეთა და უფროსთა კანტორები დაცარცულია. ვერ ნახავთ ვერც ერთ ნაგლეჯს ქაღალდისას და საკანცელარიო საჭიროების საგანს და წარმოიდგინეთ, რევკომებსაც კი არ აქვთ ქაღალდი და არც იშოვება. დეპოდან ყველა რემენები წაღებულია, ასე რომ დეპოს ასამუშავებლად საჭიროა 300 არშინი რემენი. არ დაუტოვებიათ არც „პაიოკი". მემანქანეებს აძლევდნენ ოც-ოც ათას მანეთს თითო ორთქლმავლის გატანაში. მაგრამ მსურველნი ძლიერ ცოტანი აღმოჩენილან, რის გამო მენშევიკებს მიუმართავს ძალისთვის. მუშა მოსამსახურეთა შორის არავინ ყოფილა მუშაობის გაგრძელების მსურველნი; და აქ მენშევიკებმა მიმართეს პროვოკაციას: მოაწყვეს მიტინგი, სადაც გამოიყვანეს ვიღაცეები, ვითომც ისინი იყვნენ გლეხები ჩვენგან დაკავებულ მეზობელ სოფლების, რომლებიც არწმუნებდენ, რომ წითელ არმიელებმა დაცარცვეს და გაანადგურეს მთელი სოფლები და სხვა... ამ პროვოკაციას გამოუღია თავისი ნაყოფი: მცირე ნაწილის გამოკლებით ყველანი გაქცეულან. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ვისაც კი შეძლებია თოფის ტარება, ყველა შეუიარაღებიათ, უკან დახევის დროს ერთი კომუნისტი მოუკლავთ. საერთოდ მდგომარეობა მძიმეა და მოუცილებელია ცენტრიდან მატერიალური დახმარება.

პროვინცია

სოფ. პატარძეული (გარე-კახეთი) შაბათს, 11 მარტს, შესდგა პატარძეულის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრო ოთხას კაცამდე. ჩამოსულ ამხანაგებმა: მიხეილ გრიგორიანცმა, ნიკო სიდამონიძემ, პავლე მაშოკაშვილმა და ზაქრო ოთიკაშვილმა კრებას ინფორმაცია გაუკეთეს მენშევიკების ბატონობის დამხობისა და მშრომელ მასსების გამარჯვების შესახებ. კრებამ აღფრთოვანებით მოისმინა ეს განცხადება და დაადგინა გულწრფელი მისალმება გაუგზავნოს საქართველოს მუშათა კლასის და კომუნისტურ პარტიის ბელადებს: ამხ. ფ. მახარაძეს და მ. ცხაკაიას.

რევკომის თავმჯდომარე გიგო ფიცხელაური,

მუშათა ცხოვრება

მოწოდება რკინის გზელებისადმი

საბჭოთა საქართ. რკინის—გზელთა პროფ. კავშირების პირველი კონფერენციისა, რომელიც შეიკრიბა ა. წ. 12 მარტს.

— ამხანაგებო! რკინის-გზელთა პროფ. კავშირების ის ძველი ცენტრ. კომიტეტი, რომელსაც მივანდევით ჩვენი პროფ. კავშირების ხელმძღვანელობა და ჩვენი ინტერესების დაცვა, კონტრ-რევოლიუციონერი გამოდგა და ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული, როგორიცაა: 1) იგი გაიქცა და შეუერთდა კონტრევოლიუციონურ მენშევიკურ მთავრობას, რომელიც ებრძოდა და ებრძვის საბჭოთა საქართველოს, რაც მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ ღალატს ნიშნავს. 2) თავის გაქცევით მან უარყო და ფეხქვეშ გასთელა ის ნდობა და დავალებანი, რომლითაც იგი აღჭურვილ იყო რკინის-გზელ მუშა-მოსამსახურეებისგან, რომ მას ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა გაქცეულიყო, სანამ მისგან მოხსნილი არ იქნებოდა მასზე დაკისრებული მოვალეობანი, მით უმეტეს, რომ მის ამომრჩეველთა უმეტესი ნაწილი თავის ადგილზე დარჩა. ეს არის ღალატი რკინის გზის მშრომელთა მასის წინაშე. 3) პროფ. კავშირების ქონებისა და ინვენტარის დაცვის მაგივრათ, მან იგი გაანადგურა და გაიტაცა, თან წაიღო დასარიგებელი სურსათ-სანოვაგე და ჯამაგირების ფული, რის გამოც მუშა-მოსამსახურეები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ასეთი საქციელი ყაჩაღურ მოქმედებას ნიშნავს, რაც სისხლის სამართლის დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

— ყველა ზემოთ მოხსენებულ ჩადენილ დანაშაულთა შემდეგ, ჩვენ, როგორც რკინის გზელთა მასის წარმომადგენლები, ვაცხადებთ გაუქმებულად რკინის გზელთა ძველ ცენტრ. კომიტეტს და მის ადგილზე 11 კაცისაგან ვირჩევთ დროებით ახალ ცენტრ.-კომიტეტს, რომელსაც ევალება შემდეგი: 1 აღადგინოს ძველი ცენტრ-კომიტეტის მიერ დაშლილი რკ. გზ. პროფ. კავშირები და ახლო მომავალში მოიწვიოს საზოგადო კრება საბჭ. საქარ. რესპუბლ. რკინის გზელთა პროფ.-კავშირების სრული წარმომადგენლებისაგან, 2) მოახდინოს აღწერა და შეკრეფა პროფ.-კავშირების გატაცებულ და დაფანტულ ქონების და ინვენტარისა, 3) იზრუნოს სურსათ სანოვაგის საქმის მოგვარებაზე და მის განაწილებაზე, 4) მოაწესრიგოს მუშა მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნის საქმე რკინის გზაზე, 5) ხელი შეუწყოს რკინის გზაზე წარმოების განვითარებას, რომელიც წარმოადგენს უმთავრეს დარგს საქართველოში სოციალური ცხოვრების აღმშენებლობისთვის 6) მშრომელთა ინტერესების დაცვა და ბოროტ მოქმედების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება, 7) მუშა-მოსამსახურეებს ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მათ პოლიტიკურათ და სოციალურათ გათვითცნობიერებაზე.

8) ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნა, როგორც ლიანდაგის, ისე რაიონის პროფ. კავშირებისა, რომელთათვის ახალ ცენტრალურ კავშირის დადგენილებანი, როგორც უმაღლეს ორგანოსი, სავალდებულოა.

— ამხანაგებო! ერთხელ კიდევ მოგიწოდებთ შემოკრბეთ ახალ ცენტ. კომიტეტის გარშემო, მივბაძოთ რუსეთის გმირთა გმირ ჩვენ ამხანაგებს, მჭიდროთ შევკავშირდეთ და გაერთიანებული შრომით გავავითაროთ და გავაფართოვოთ წარმოება, რომელიც საფუძვლათ დაედება ჩვენს ბრწყინვალე მომავალს და მიგვიყვანს იმ აღთქმის ქვეყანაში, რომელსაც ქვიან სოციალიზმი. მაშ გავწიოთ წინ, შორს ჩვენგან გამცემლები და მოღალატენი.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტ. საქართველოს!

გაუმარჯოს მუშათა სოლიდარობას და მის კავშირებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო წითელ პროფ. კავშირებს, რომელიც აერთიებს მთელი ქვეყნის მშრომელთა მასებს!

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

კონფერენციის თავმჯდომარე **ხაზაშვილი.**

მდივანი **კალანდია.**

ხელოვნება.

საკამერო თეატრი.

საკამერო თეატრის კოლექტივმა სახალხო განათლების კომისარს მიმართა თხოვნით, რათა საკამერო თეატრის საჭიროებისათვის გაცემულ იქნას დროებითი სუბსიდია. სახალხო კომისარის სახალხო განათლების კოლეგიამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. სახალხო კამერულ თეატრის კოლეგიასთან 21 მარტიდან იხსნება დრამატიულ ხელოვნების პრაქტიკული სამუშაოს განყოფილება. ჩაწერა შეიძლება კამერულ თეატრში დღის 12 ს.—2 საათამდე და საღამოს $6^1/_2$ ს. $7^1/_2$ საათამდე, 20 მარტამდე.

ხელოვნების მუშაკთა კავშირში.

ყველა უმუშევართ იწვევენ სარეგისტრაციოთ პურის უფლის მისაღებად, ამხ. ჩოჩიევთან. უმუშევართ უნდა წარმოადგინონ საჭირო საბუთები, [illegible] ნების მუშაკთა კავშირის [illegible] ბარათი, სახლის კომიტეტის [illegible] ვის რამდენი [illegible] შემოსავალი, [illegible] სამსახურის შოვნის დროს, ყველამ უნდ ამის შესახებ აცნობოს სეკრეტარიატ

სახალხო სახლში.

პარასკევს, 18 მარტს, უკრაინის დასი მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისის სცენაზე 5 მოქმედებიან „გრეხ იკრა". კვირას რუსული დას დასდგამს გოგოლის რევიზორს.

მუშათა აუდიტორია.

ქართულ დრამატიულ სექციამ აირჩია ადგილობრივი კომიტეტი. კომიტეტში შედიან: თავმჯდომარეთ—ანთაძე, მდივნათ მიქელაძე. კვირას, 2 მარტს წარმოდგენილი იქნება რამიშვილის პიესა „მეზობლები".

ბილეთების განაწილება.

მე-11 ე არმიის პოლიტ-განყოფილებამ დაადგინა ყველა თფილისში არსებულ თეატრების და კინემატოგრაფის ბილეთები განაწილდეს გრუკავროსტას თეატრალურ სექციაში მუშა-მოსამსახურეთათვის მისაცემად. ამიტომ გრუკავროსტა სთხოვს, ყველა უფასო ბილეთები წარმოადგინონ თეატრალურ მუსიკალურ განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 24).

წერ. რედაქციის მიმართ

მე აქამდის ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიაში და ვმუშაობდი მათ სასარგებლოდ. საქართველოში საბჭოთა ძალაუფლების გამოცხადებამ, ამ მთავრობის მუშაობამ და რუსეთის წითელი არმიის აქ შემოსვლამ—საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ერთად ერთი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა მთელ მსოფლიოში და ნამდვილი განმათავისუფლებელი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ეროვნობისა—არის კომუნისტური პარტია.

ამიტომ მე ყველას გასაგონათ ვაცხადებ, რომ დღეიდან ვდგები ამ პარტიის დროშის ქვეშ და შეძლების დაგვარათ ვემსახურები მას გულწრფელად.

ყველა ჩემ ყოფილ ამხანაგ—მენშევიკებს მოუწოდებ მოიქცნენ ასე.

[illegible]

ფოსტა

საქართ. კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს და მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულად მოგვაწოდეთ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

მოწოდება

საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი მოუწოდებს თავის წევრებს დაუყონებლივ გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ.

წევრების რეგისტრაცია და ახალი წევრების მიღება წარმოებს ყოველ დღე კავშირის ბინაზედ, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 6. ყოფილ გაზ. „გრუზიას" ბინაზედ.

საქართ. რევოლ. სინდიკალის. მაშ. კავშირი.

თბილისში მცხოვრებ ყველა უმუშევარ მელითონეთ!

უმუშევარ მელითონეთათვის სამუშაოს მიცემის მიზნით და მათთვის სურსათის მისაწ დებლათ, მელითონეთა პროფკავშირის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ მელითონეთ გამოცხადდენ კავშირის მდივანთან სარეგისტრაციოთ. (მუშათა სასახლე, 4 სართული, 49 ოთახი) ჩაწერა სწარმოებს დილის 10 ს.—2 ს. და საღამოს 6—8 ს.

გამგეობა.

ყოფილ ნეიტრალურ ზონის პარტიულ მუშაკების საყურადღებოდ.

რ. კ. პ. ც. კ. კავკასიის ბიუროს განკარგულების თანახმად, ყველა პოლიტიკური მუშაკები, სომხეთსა და საქართველოს შორის ყოფილ ნეიტრალურ ზონაში [illegible] ხების მონაწილენი, ვალდებული არიან დღეას რიცხვიდან გადმოგზავრონ [illegible] დში ამხ. საფრასბეკოვის განკარგულებაში, სათანადო დანიშნულების მისაღებად. ეს ბრძანება ვრცელდება ყველა პარტიულ ამხანაგებზე, რა თანამდებობაც არ უნდა ეჭიროთ მათ საბჭოთა საქართველოში, გარდა იმ ამხანაგებისა, რომლებიც ითვლებიან ლორის განსაკუთრებულ და სომხების [illegible] რაზმებში.

ს. კ. პ. ც. კ. **დ. დუმბაძე.**

სომხეთის კ. პ. ც. კ. წარმომადგენელი. **ი. დაზნიანი.**

გაზ. „კომუნისტი"-ს
მიღება შეიძლება გრუროსტას ცენტრალურ ექ
პედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).